

საქართველოს კულტურის სტრატეგია  
სამუშაო შეხვედრა იმერეთის რეგიონში

ქუთაისი, 2015 წლის 14 მარტი

სესია

**შემოქმედებითი და კულტურული ინდუსტრიები**

**მოდერატორი :** მაკა დვალიშვილი, ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი  
**რეპორტიორი:** თამუნა კიკნაძე, ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი

**მონაწილეები :**

მირანდა კუპრავა, ქუთაისის მერიის კულტურის განყოფილების უფროსი  
ზურაბ ფხაკაძე, ქუთაისის ახალგაზრდული თეატრის დირექტორი  
ქეთევან ბერძენიშვილი, რადიოკომპანია „ძველი ქალაქის“ პროგრამების დირექტორი  
დავით ლიკლივაძე, ჟურნალისტი, ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პრეს-ცენტრი  
ლევან ნემსაძე, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლებისა და ახალგაზრდობის კომისიის თავმჯდომარე  
რეზო მესხი, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე  
გრიგოლ მაჩიტაძე, ბაღდათის საკრებულოს თავმჯდომარე  
კახა გოგნაძე, ბაღდათის კულტურის სამსახურის უფროსი  
დავით მალრაძე, ზესტაფონის საკრებულოს თავმჯდომარე  
ომარ გველესიანი, ზესტაფონის კულტურის ცენტრის დირექტორი  
გივი შანიძე, ზესტაფონის სიმღერისა და ცეკვის სამხატვრო ხელმძღვანელი  
რობინზონ გვენეტაძე, ტყიბულის გამგებელი  
მაია ბრეგაძე, ტყიბულის ადმინისტრაციის სპეციალისტი

სამუშაო შეხვედრაში მონაწილეობდნენ ქუთაისის, წყალტუბოს, ტყიბულის, ბაღდათის მუნიციპალიტეტის გამგებების და საკრებულოების, კულტურის სახლის, მედიის წარმომადგენლები. დისკუსიისას, პრიორიტეტულ სფეროებად განისაზღვრა :

- თეატრი (ახალგაზრდული თეატრალური სახელოსნო)
- ანსამბლები
- ტრადიციული რეწვა (კერამიკა, ხე)
- გამოფენები
- მუზეუმები (სახლ-მუზეუმები, მხარეთმცოდნეობის მუზეუმი)
- კულტურული მემკვიდრეობა, კულტურული ტურიზმი

- თანამედროვე მუსიკა

## შეხვედრაზე იდენტიფიცირებული პრობლემები და შესაბამისი ქმედებები:

### პრობლემები:

#### კომუნიკაციის არარსებობა/ნაკლებობა

- კულტურული და შემოქმედებითი ინდუსტრიების სფეროს შესახებ ინფორმაციის ნაკლებობა და კულტურული და შემოქმედებითი ინდუსტრიების სფეროების განსაზღვრისა და აღნუსხვის საჭიროება
- მონაცემთა სრულყოფილი ბაზებისა და კულტურული რუქების ნაკლებობა
- კვლევების არარსებობა რეგიონის პრიორიტეტების გამოვლენის მიზნით
- კულტურის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის და პრიორიტეტების არარსებობა
- ფინანსური რესურსების სიმწირე ; საერთაშორისო გრანტებზე წვდომის დეფიციტი.
- კვალიფიციური კადრების სიმცირე
- კულტურული პროდუქტის შეფუთვის და ბრენდინგის არცოდნა/არგამოყენება (მაგ. ისეთი ისტორიული პირების სახელების, როგორცაა ბალანჩინი ან მაიაკოვსკი)

### განსახორციელებელი ქმედებები :

- კულტურის სფეროს და განსაკუთრებით, მისი ეკონომიკური პოტენციალის განვითარების სახელმწიფო პრიორიტეტად აღიარება
- საკანონმდებლო ცვლილებები კერძო ბიზნესის მიერ კულტურის ფინანსური მხარდაჭერის წასახალისებლად
- მენეჯმენტის სისტემის მორგება საბაზრო ეკონომიკაზე
- მცირე ბიზნესის ხელშეწყობა
- კულტურული და შემოქმედებითი ინსტიტუციების განვითარების ხელშეწყობა, როგორც თვითმმართველობის, ისე კერძო ინიციატივების დონეზე.
- საერთაშორისო ფონდებთან ურთიერთობის ხელშეწყობა
- სხვადასხვა მუნიციპალიტეტების პროფესიონალებს შორის კომუნიკაციის გაზრდა
- საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობის და გამოცდილების გაზრდა
- მედიის ჩართვა კულტურის პოპულარიზაციაში/მიზანმიმართული კამპანიები კულტურის როლის შესახებ ცნობიერების ასამაღლებლად
- კულტურის არხის დაარსება

## პრობლემები :

### გაუმართავი ინფრასტრუქტურა

- კულტურული ღონისძიებებისათვის საჯარო ფართის და პირობების სიმწირე
- ტურისტული ინფრასტრუქტურის მოუნესრიგებლობა მუნიციპალურ დონეზე (გარდა საკურორტო ზონებისა, მეტ-ნაკლებად)
- კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების ინფრასტრუქტურის გაუმართაობა (მაგ. სველი წერტილები)
- ადგილობრივი რესურსების არასათანადო გამოყენება (მაგ. გიშრის სამრეწველო მოპოვების გარდაქმნა)

### განსახორციელებელი ქმედებები

- სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ხელსაყრელი გარემოს შექმნა კერძო სექტორის განსაზღვრულად, რაც თავის მხრივ განაზღვრავს ინდუსტრიას, გადახდისუნარიანს გახდის მოსახლეობას
- მენეჯმენტის ორგანიზება/მართვის ინსტრუმენტებისა და მეთოდების მოდერნიზაცია
- კულტურული ინდუსტრიების პროდუქციისა და სერვისების ეკონომიკური პოტენციალის განსაზღვრა და განვითარება
- წარმოების, ბაზრის, მარკეტინგის განვითარება; ბაზარზე ორიენტირებული პროდუქციის შექმნა და მისი განახლების ხელშეწყობა
- შორეულ პერსპექტივაში საერთაშორისო ბაზარზე ორიენტაცია.

## პრობლემები :

### განათლება

- კადრების სიმწირე
- კადრების არასათანადო კვალიფიკაცია

### განსახორციელებელი ქმედებები

- თანამშრომლებისა და კულტურის მოხელეების გადამზადება
- ბიზნესისა და კულტურის ურთიერთკავშირის გაძლიერება განათლებაში

- შესაძლებლობების განვითარება და პროფესიული ზრდის ხელშეწყობა
- თანხების მოძიება, პროექტების წერა და მართვა
- სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულებებში კულტურული/შემოქმედებითი ინდუსტრიების სწავლება
- კულტურის მენეჯმენტის სწავლება
- უცხოური გამოცდილების გაზიარების შესაძლებლობა, გაცვლითი პროგრამების შემუშავება
- კულტურული ინდუსტრიების და ბიზნესის წარმოების მხრივ არაფორმალური განათლების გააქტიურება, ტრენინგები, ვორკშოპები და ა.შ.
- კომუნიკაციისა და ქსელური კავშირების გაძლიერება